

სს “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის” წესი ოპერაციებისა და პროცედურების შესახებ

დანართი №1

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი				
გაწეულ მომსახურებაზე დადგენილი გადასახდელი (ტარიფები)*				
№	მომსახურების დასახელება	გადამხდელი	ტარიფი	დარიცხვის და/ან გადახდის პერიოდულობა
I. სააღრიცხვო სისტემაში ჩართვა**				
1	სისტემაში მონაწილის რეგისტრაციის გადასახადი	მონაწილე	500 ლარი	ერთჯერადი
II. ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნა/დახურვა, მომსახურება				
2	ანგარიშების გახსნა/დახურვა		უფასო	
	წევრის ანგარიშების მომსახურების გადასახადი	მონაწილე	60 ლარი	ყოველთვიური
	არაწევრი მონაწილის ანგარიშების მომსახურების გადასახადი		150 ლარი	ყოველთვიური
III. ფასიანი ქაღალდების დაშვება				
3	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების დაშვება დეპოზიტარის სისტემაში (10 სამუშაო დღემდე)	განმცხადებელი	1000 ლარი	ერთჯერადი
	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდის დაჩქარებული დაშვება დეპოზიტარის სისტემაში (1 სამუშაო დღე)	განმცხადებელი	2500 ლარი	ერთჯერადი
4	უცხოური ფასიანი ქაღალდის დაშვება	განმცხადებელი	იგივე რაც, ადგილობრივზე***	ერთჯერადი
IV. ფასიანი ქაღალდების შენახვა				
5	ადგილობრივი წილობრივი ფასიანი ქაღალდების შენახვა		უფასო	
6	უცხოური წილობრივი ფასიანი ქაღალდების შენახვა		უფასო***	

7	საქართველოში გამოშვებული (ლარში ან უცხოურ ვალუტაში ნომინირებული) სასესხო ფასიანი ქაღალდების (სამთავრობო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების გარდა) შენახვა	მონაწილე	ფასიანი ქაღალდების ღირებულების 0.03%, მაგრამ არანაკლებ დღეში 2,5 ლარისა****	ყოველთვიური გაანგარიშება და გადახდა
8	უცხოეთში გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვა	მონაწილე	იგივე რაც, საქართველოში გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდების შენახვა***	ყოველთვიური გაანგარიშება და გადახდა
9	საქართველოს და უცხოური სამთავრობო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შენახვა		უფასო***	
V. ოპერაციები ფასიან ქაღალდებზე				
10	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან მიღება ნომინალურ მფლობელობაში		უფასო	
11	ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების გატანა რეგისტრატორში ნომინალური მფლობელის ან რეგისტრირებული მესაკუთრის ანგარიშზე	მონაწილე	ფასიანი ქაღალდების ღირებულების 0.001%, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა და არაუმეტეს 1 000 ლარისა*****	ყოველ ოპერაციაზე
12	უცხოური ფასიანი ქაღალდების კასტოდიანისგან ან უცხოური დეპოზიტარისგან მიღება ნომინალურ მფლობელობაში		უფასო***	
13	უცხოური ფასიანი ქაღალდების გატანა კასტოდიანში ან უცხოურ დეპოზიტარში ნომინალური მფლობელის ან რეგისტრირებული მესაკუთრის ანგარიშზე	მონაწილე	იგივე რაც, ადგილობრივზე***	ყოველდღიური
14	ბლოკირება, დაგირავება, რეპო და მათთან დაკავშირებული ოპერაციები	მონაწილე	2 ლარი***	ყოველ ოპერაციაზე
15	დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვება და დეკონირება ანგარიშზე არსებული საბაზისო ფასიანი ქაღალდის სანაცვლოდ	მონაწილე	ჯამური ნომინალური ღირებულების 0.05%	ყოველ ოპერაციაზე
16	დეპოზიტარული ხელწერილების ანგარიშიდან ჩამოწერა და მათ სანაცვლოდ საბაზისო ფასიანი ქაღალდის დეკონირება იგივე ანგარიშზე	მონაწილე	ჯამური ნომინალური ღირებულების 0.05%	ყოველ ოპერაციაზე
VI. კლირინგი და ანგარიშსწორება				
17	აქციებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის სანაცვლოდ (DVP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
18	აქციებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის გარეშე (FOP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
19	სასესხო ფასიანი ქაღალდებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის სანაცვლოდ (DVP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე

20	სასესხო ფასიან ქაღალდებზე ანგარიშსწორება თანხის გადახდის გარეშე (FOP), ან ანულირება	გარიგების მხარეები	5 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
VII. კორპორაციული ქმედებები***				
21	დივიდენდის გადახდა	ემიტენტი	1 ლარი	თითოეულ თანხის მიმღებზე
22	კუპონის გადახდა	ემიტენტი	1 ლარი	თითოეულ თანხის მიმღებზე
23	ყველა სხვა კორპორაციული ქმედება	ემიტენტი	5 ლარი	თითოეულ ანგარიშზე
24	წარმომადგენლობა კრებაზე	მონაწილე	შეთანხმების საფუძველზე	ყოველ წარმომადგენლობაზე
VIII. ცნობების გაცემა				
25	ცნობის სახით ამონაწერის გაცემა შემნახველი ანგარიშიდან	მონაწილე	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
26	ცნობის სახით ანგარიშიდან ბრუნვის ამონაწერის გაცემა	მონაწილე	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
27	ცნობის სახით საინვესტიციო პორტფელის შესახებ ამონაწერის გაცემა	მონაწილე	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
28	გირაოს/ბლოკირების დამადასტურებელი ცნობის გაცემა	მონაწილე	20 ლარი	ყოველ ოპერაციაზე
29	ცნობის სახით სხვა ინფორმაციის გაცემა ანგარიშიდან	მონაწილე	შეთანხმების საფუძველზე	ყოველ ოპერაციაზე
IX. სხვა მომსახურება				
30	სხვა მომსახურება	მონაწილე	შეთანხმების საფუძველზე	ყოველ მომსახურებაზე

* - ტარიფები მოცემულია დღგ-ის გარეშე.

გადახდა წარმოებს ლარებში ეროვნული ბანკის კურსით, გარდა უცხოეთიდან არარეზიდენტი მონაწილის მიერ განხორციელებული გადახდებისა. ამ შემთხვევაში ტარიფის გაანგარიშება მოხდება ინვოისის გამოწერის თარიღისთვის აშშ დოლარის ან ევროს მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

გადასახდელების, საურავის და ჯარიმების გადახდა უნდა მოხდეს ინვოისის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. გადახდა ხორციელდება წევრის მიერ პირდაპირი გადახდით ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მონაწილის საკუთარი ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის გზით.

5 სამუშაო დღის განმავლობაში პირდაპირი გზით გადაუხდელობის ან საკუთარ ანგარიშზე აქტივების არქონის შემთხვევაში, დეპოზიტარს უფლება აქვს ანგარიშის მფლობელს დააკისროს საურავი გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. გადახდა წარმოებს ცენტრალური დეპოზიტარის მიერ გამოწერილი ინვოისის შესაბამისად.

** - ამ გადასახადს ცენტრალური დეპოზიტარის წევრები არ იხდიან.

*** - უცხოური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში ემატება ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული და დეპოზიტარის მიერ გადახდილი დამატებითი ხარჯები (მაგ. საერთაშორისო დეპოზიტარის, ადგილობრივი ან უცხოური კასტოდიანის მომსახურების ხარჯი) ასეთ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში. ამასთან ევროობლიგაციებზე ვრცელდება შემდეგი დამატებითი გადასახდელები:

- ევროობლიგაციების Clearstream-ის სისტემაში დეპონირების შემთხვევაში:
 - ყოველთვიური შენახვის საკომისიოს დარიცხვა წარმოებს ყოველდღიურად, ობლიგაციების ნომინალური ღირებულებიდან გამომდინარე ყოველი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე თვიური 0,001%-ის ოდენობით;
 - ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება დამატებითი გადასახდელი 10 ევრო, ხოლო ამ ტრანზაქცი(ებ)ის გაუქმების/შესწორების შემთხვევაში 5 ევრო;
 - ბლოკირება, დაგირავება და მათთან დაკავშირებული ოპერაციების შემთხვევაში თითოეულ ტრანზაქციაზე 30 ლარი;
 - კორპორაციული ქმედებების შესახებ შეტყობინების გაგზავნის გადასახდელი 10 ევრო, დადასტურების გადასახდელი 60 ევრო;
 - შესაძლებელია წარმოიშვას სხვა დამატებითი გადასახდელები;
- ევროობლიგაციების Euroclear-ის სისტემაში დეპონირების შემთხვევაში:
 - ყოველთვიური შენახვის საკომისიოს დარიცხვა წარმოებს ყოველდღიურად, ობლიგაციების ნომინალური ღირებულებიდან გამომდინარე ყოველი დღის ბოლოს არსებულ ნაშთზე თვიური 0,001%-ის ოდენობით;
 - ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება დამატებითი გადასახდელი 10 ევრო, ხოლო ამ ტრანზაქცი(ებ)ის გაუქმების/შესწორების შემთხვევაში 10 ევრო;
 - ბლოკირება, დაგირავება და მათთან დაკავშირებული ოპერაციების შემთხვევაში თითოეულ ტრანზაქციაზე ობლიგაციების ნომინალური ღირებულების 0,02%;
 - კორპორაციული ქმედებების შესახებ შეტყობინების გაგზავნის გადასახდელი 20 ევრო, დადასტურების გადასახდელი 100 ევრო;

შესაძლებელია წარმოიშვას სხვა დამატებითი გადასახდელები;

**** - ტარიფში მითითებული პროცენტი არის წლიურ გამოხატულებაში. გადასახადელის დაანგარიშება ხდება დეპოზიტარის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე ყოველი დღის ბოლოს რიცხული ფასიანი ქაღალდების ჯამური დღიური ღირებულების შესაბამის ტარიფზე

გამრავლებით. ჯამური დღიური ღირებულება დაიანგარიშება დეპოზიტარის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული ერთი ტიპის ფასიანი ქაღალდ(ებ)ის საბოლოო ღირებულებ(ებ)ით. დეპოზიტარის კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე რიცხული ფასიანი ქაღალდ(ებ)ის საბოლოო ღირებულება გამოითვლება შემდეგნაირად:

- სასესხო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდის რაოდენობისა და ერთეულის ნომინალური ღირებულების ნამრავლი.
- წილობრივი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის რაოდენობისა და ერთეულის ფასის ნამრავლი:
 - o ორგანიზებულ ბაზარზე დაშვებული აქციების შემთხვევაში აქციის ფასს წარმოადგენს ყოველი დღის ბოლოს შესაბამის ორგანიზებულ ბაზარზე დადგენილი/დაფიქსირებული დახურვის ფასი, ხოლო ამ დღის განმავლობაში აქციაზე გარიგების არ არსებობის შემთხვევაში, აიღება იმ დღის დახურვის ფასი, როდესაც ამ ფასიან ქაღალდზე დაიდო ბოლო გარიგება.
 - o თუ აქცია არ არის დაშვებული ორგანიზებულ ბაზარზე, აქციის ფასად ჩაითვლება მისი საბაზრო ფასი (მოპოვებული საიმედო საინფორმაციო წყაროდან ან შეფასებიდან).
 - o საბაზრო ღირებულების არ არსებობის შემთხვევაში აქციის ფასად ჩაითვლება აქციის ნომინალური ღირებულება.
- დეპოზიტარული ხელწერილის შენახვის შემთხვევაში ემატება იმ ფასიანი ქაღალდის შენახვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯებიც, რომელთა საფუძველზეც მოხდა დეპოზიტარული ხელწერილის გამოშვება.

***** - გადასახდელი დაიანგარიშება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, დეპოზიტარის მიერ შესრულებული თითოეული ოპერაციისათვის/ტრანზაქციისათვის, ამ ოპერაციის/ტრანზაქციის ღირებულების 0.001%-ზე გამრავლებით. შესრულებული ოპერაციის/ტრანზაქციის ღირებულება დაითვლება განხორციელებულ ოპერაციაში მონაწილე ფასიანი ქაღალდების ღირებულების მიხედვით. გადასახდელის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა წარმოადგენს დეპოზიტარის კლიენტის მიერ მინიმალურ და მაქსიმალურ გადასახდელს თითოეულ ოპერაციაზე/ტრანზაქციაზე. ოპერაციაში მონაწილე ფასიანი ქაღალდ(ებ)ის ღირებულება გამოითვლება შემდეგნაირად:

- სასესხო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის რაოდენობისა და ერთეულის ნომინალური ღირებულების ნამრავლი.
- წილობრივი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის რაოდენობისა და ერთეულის ფასის ნამრავლი:
 - o ორგანიზებულ ბაზარზე დაშვებული აქციების შემთხვევაში აქციის ფასს წარმოადგენს ყოველი დღის ბოლოს შესაბამის ორგანიზებულ ბაზარზე დადგენილი/დაფიქსირებული დახურვის ფასი, ხოლო ამ დღის განმავლობაში აქციაზე გარიგების არ არსებობის შემთხვევაში, აიღება იმ დღის დახურვის ფასი, როდესაც ამ ფასიან ქაღალდზე დაიდო ბოლო გარიგება.
 - o თუ აქცია არ არის დაშვებული ორგანიზებულ ბაზარზე, აქციის ფასად ჩაითვლება მისი საბაზრო ფასი (მოპოვებული საიმედო საინფორმაციო წყაროდან ან შეფასებიდან).
 - o საბაზრო ღირებულების არ არსებობის შემთხვევაში აქციის ფასად ჩაითვლება აქციის ნომინალური ღირებულება.